

შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქის“ 31 დეკემბრით დასრულებული
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	2 514 140	2 604 207	3.15.
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	2514140	2604207	3.15.
სხვა	(1 347 244)	(1 896 753)	3.15.
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები	1 166 896	707 454	
საერთო მოგება	25 362	901	3.16.
სხვა შემოსავალი	(111 554)	(227 673)	3.18.
დასაქმებულთა ანაზღაურება	(33 640)	(39 644)	3.18.
ცვეთა და ამორტიზაცია			
საპროცენტო შემოსავალი:	(28 030)	(35 732)	3.19.
საპროცენტო ხარჯი:		(3 000)	3.18.
იჯარის ხარჯი	(439 328)	(248 548)	3.18.
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(587 190)	(553 696)	
სულ საოპერაციო ხარჯები	579 706	153 758	
საოპერაციო მოგება			
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები	3 328	66 810	3.16., 3.19.
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
მიღებული დივიდენდები	(28 261)		3.16., 3.19.
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	554 773	220 568	3.14.
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერ	(31 207)		3.20.
მოგების გადასახადი	523 566	220 568	
მოგება/(ზარალი)			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერზი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	523 566	220 568	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			
	144 706	303 915	3.14.
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)			
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(176 843)	(379 777)	3.14.
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	491 429	144 706	3.14.
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს			

შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქის“ დირექტორი

ირმა ბუჩუკური




ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	65 454	19 742	10 317	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	133 517	245 728	222 615	3.2.
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5 527	2 819	3 599	3.3.
მარაგები	228 835	228 318	373 325	3.4.
- მზა პროდუქცია	2 284	3 267	1 940	3.4.
- სხვა	226 551	225 051	371 385	3.4.
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	9 345	9 583	6 384	3.5.
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი			308	3.7.
სხვა არამატერიალური აქტივები	557 177	586 216	618 556	3.6.
ძირითადი საშუალებები	810 297	743 110		
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				3.5.
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1 810 152	1 835 516	1 235 104	
სულ აქტივები				
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	103 886	193 494	346 705	3.8.
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	4 953	2 503	13 318	3.09
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	25 165	21 340	6 425	3.10.
საგადასახადო ვალდებულებები	61			3.13.
გამოუმუშავებელი შემოსავალი	64 176	59 914	64 215	3.11.
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	309 910	375 836	499 551	3.12.
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები	810 572	1 037 721	975	3.13.
სხვა ვალდებულებები	1 318 723	1 690 810	931 189	
სულ ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')			379 777	3.14.
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	491 429	144 706	(75 862)	3.14.
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები	491 429	144 706	303 915	
სულ საკუთარი კაპიტალი	1 810 152	1 835 516	1 235 104	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				

შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქის“ დირექტორი

ირმა ბუჩუკური



2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2006 წლის 16 ივნისს ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის ნომერი 6095/002-შპს. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 202341787, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ნაძალადევის რაიონი, ტრიკოტაჟის ქ. #3; ვ. ნინუას ქ. # 3.. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2007 წლის 11 თებერვალს.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ლევან ბუჩუკური (პ.ნ. 01023004508).

1.3. კომპანიის დირექტორია ირმა ბუჩუკური (პ.ნ. 01022012937).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა პურის წარმოება, საბითუმო ვაჭრობა პურით და პურფუნთუშეული ნაწარმით.

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობები - 5%;

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

კავშირგაბმულობის საშუალებები - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 20%;

ავეჯი - 30%;

ინვენტარი - 20%;

სხვა ავტოტრანსპორტი - 20%;

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები - 50%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2023 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსი, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.7020 ლარი;

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	8407	260	4
ლარი საბანკო ანგარიშებზე	46885	10893	411
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	10162	8590	9902
სულ:	65454	19742	10317

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	133517	245728	222615
სულ:	133517	245728	222615

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიის დებიტორებს შეადგენდნენ 51 რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირები.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5527	2819	3599
სულ:	5527	2819	3599

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	224410	224768	369630
მზა პროდუქცია	2284	3267	1939
საწვავ-საცხები მასალები	2141	282	1756
სულ:	228835	228318	373325

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
წინასწარ ანაზღაურებული მომოსახურებები	13	13	1118
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	9332	9570	5266
აღიარებული პრეტენზიები (დარიცხული გადასახადები, რომელიც არ არის აღიარებული, დავის პროცესშია)	810297	743110	
სულ:	819642	752693	6384

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიწა ქ.თბილისი წინუას ქ. 3. საკ.კოდი 01.12.12.001.186. (651 კვმ)	210000.00	210000.00	210000.00
სულ:	210000	210000	210000

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
შენობები	284994	299994	315783
მანქანა-დანადგარები	35323	44560	55700
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	3208	4011	5013
კავშირგაბმულობის საშუალებები	1159	1985	670
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	1689	2112	607
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	1641	2051	978
ავეჯი	490	700	1000
ინვენტარი	675	865	1082
სხვა ავტოტრანსპორტი	9196	11805	14756
1000 ლარამდე ღირებულების ძს	8802	8134	12966
სულ:	347177	376216	408556

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2023 წლის ბოლოს - 383 242.15 ლარს;

2022 წლის ბოლოს - 407 356.99 ლარს.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“	0	0	0
FMG სადისტრიბუციო პროგრამა	0	0	308
სულ:	0	0	308

2023 წლის დასაწყისისთვის საწარმოს არამატერიალური აქტივები სრულად ამორტიზირებულია.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	103886	193494	346705
სულ:	103886	193494	346705

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 18 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები	4953	2503	13318
სულ:	4953	2503	13318

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	25165	21340	6425
სულ:	25165	21340	6425

საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2023 წლის დეკემბრის თვეში, რომლის დეკლარირებაც მოხდა 2024 წლის იანვარში.

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
პაშა ბანკი სესხი №0002753.001-001	64176	59914	64215
სულ:	64176	59914	64215

ყველა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილია.

3.12. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
პაშა ბანკი სესხი №0002753.001-001	309910	375838	499551
სულ:	309910	375838	499551

„პაშა ბანკიდან“ აღებული სესხი არის აშშ დოლარებში. 2023 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 139 096,32 USD-ს.

3.13. სხვა ვალდებულებები:

სხვა ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	275	294608	975
გადახდილი ავანსები	61	3	
დარიცხული გადასახადები, რომელიც არ არის აღიარებული, დავის პროცესშია)	810297	743110	
სულ:	810633	1037721	975

31.12.2023-ისთვის საწარმომ დაფარა დამფუძნებლის მიერ კომპანიაში შემოტანილი საბრუნავი საშუალების თანხა 294 333 ლარის ოდენობით.

2022 წელს საგადასახადო შემოწმების შედეგად საწარმოს დარიცხულ გადასახადებს 2023 წელს დაერიცხა საურავი 67 187 ლარი, რომელიც საწარმოს მიერ არც ამ პერიოდში არ არის აღიარებული, რადგანაც საგადასახადო დავის პროცესი არ დასრულებულა.

3.14. საკუთარი კაპიტალი:

საკუთარი კაპიტალი	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი		0	379777
გაუნაწილებელი მოგება	491429	144706	-75862
სულ:	491429	144706	303915

2023 წელი საწარმომ დაასრულა მოგებით 554 773 ლარი, რომლიდანაც გაანაწილა 176 843 ლარი დივიდენდი, რის შემდეგაც საწარმოს გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 491 429 ლარი.

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2023 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

	2023 წელი	2022 წელი
პროდუქციის რეალიზაცია	2514140	2604207
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1347244	-1896753
სულ:	1166896	707454

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2023 წელი	2022 წელი
დადებითი საკუროს სხვაობები	19479	67012
ვალის პატივით მიღებული შემოსავალი (დეკლარაციის დამრგვალებები)	25238	895
არასაოპერაციო მოგება ძს რეალიზაციიდან	118	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	6	5
სულ:	44840	67913

3.17. საწარმოო და მიწოდების ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
ხელფასები თვითღირებულებაზე	-199468	-158541
სხვა საწარმოო ხარჯები (მირითადი საშუალებების შენახვის ხარჯები, ნარჩენების ხარჯები, სხვა წვრილმანი საწარმოო ხარჯები)	-34332	-21300
საწარმოო სარემონტო ხარჯები	-1236	-2026
წარმოებაში ელექტროენერგიისა და გაზის ხარჯები	-157923	-175680
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯი	-4890	-4833
სხვა მიწოდების ხარჯები	-492	-565
სულ:	-398341	-362944

3.18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-110705	-68650
საპენსიო ფონდში გადასახადები	-848	-482
იჯარის ხარჯები		-3000
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-3787	-4094
საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯები	-1067	-842
საწვავის ხარჯები	-13022	-23237
ცვეთა და ამორტიზაცია	-33640	-39644
კომუნალური ხარჯები	-10232	-11899
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები (ავტობანქანების დაზღვევა)	-2124	
უბედურ შემთხვევაზე თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯები	-773	-360
საბანკო ხარჯები	-549	-604
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (პროგრამული მომსახურება, ტექდათვალიერება და სხვა)	-9433	-2893
სულ:	-186180	-155705

3.19. არასაოპერაციო ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო დანახარჯები	-28030	-35731
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-16151	-202
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-100	-170
არასაოპერაციო ზარალი ძს რელიზაციიდან	-2162	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები (ზარალის ანაზღაურება)	-26000	-46
სულ:	-72442	-36150

სხვა არასაოპერაციო ხარჯი წარმოადგენს ავტოსაგზაო შემთხვევის საფუძველზე დაზარალებულისთვის ზარალის ანაზღაურებულ თანხას.

3.20. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2023 წელს კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 31 207 ლარი.

3.21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 10 ივლისს.